ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №240225

ნომერი: AR159275

თარიღი : 19.06.2012

გაცემის თარიღი : 29.06.2012

გაცნობის თარიღი : 18.07.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე თაბუკაშვილი პ/ნ 01010009276
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ III კვ. კორ. 4 ბ. 26

ორგანიზაცია:

- HAUSART კოდი: 205039803

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2012 წლის 19 ივნისის №AR159275 განცხადება, რომლითაც ითხოვდით ქ. თბილისში, დიღმის სასწავლო–საცდელი მეურნეობის ტერიტორიაზე არსებულ №01.72.14.007.435 მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის (საზოგადოებრივი, საოფისე, სავაჭრო–საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, მრავალბინიანი საცხოვრებელი და სხვა) განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმებას გაცნობებთ შემდეგს:

2008 წლის 22 იანვარს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ მომზადდა №43 ქალაქთმშენებლობითი პირობები და 2008 წლის 11 სექტემბერს შეთანხმდა ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის (საზოგადოებრივი, საოფისე, სავაჭრო–საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, მრავალბინიანი საცხოვრებელი და სხვა) განაშენიანების რეგულირების გეგმა საკადასტრო გეგმით №72.14.07.432 და №72.14.07.435 მიწის ნაკვეთებზე.

ელექტრონული განცხადებით ირკვევა, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმება გსურთ მხოლოდ საკადასტრო გეგმით №72.14.07.435 მიწის ნაკვეთზე, რაც ნიშნავს იმას, რომ ცვლილება უნდა შევიდეს ზემოთ აღნიშნულ ქალაქთმშენებლობით პირობებში და განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტში და ამოვარდეს №72.14.07.432 მიწის ნაკვეთი, რომლის სამშენებლოდ განვითარებაც ვერ მოხდება შეთანხმებული პროექტის შესაბამისად.

თუ გსურთ მხოლოდ №72.14.07.435 მიწის ნაკვეთზე განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმება გთხოვთ დააკონკრეტოთ მოთხოვნა, ქალაქთმშენებლობით პირობებშიც ცვლილების შეტანაზე, ხოლო თუ გსურთ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმება №72.14.07.432 და №72.14.07.435 მიწის ნაკვეთებზე სავალდებულო რუკის გრაფიკულ ნაწილზე უნდა დაიტანოთ №72.14.07.432 მიწის ნაკვეთც და ასევე უნდა აჩვენოთ ორივე მიწის ნაკვეთის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები.

ამასთანავე სავალდებულო რუკის გრაფიკულ ნაწილზე გამოტანილ ზონებზე საზოგადოებრივ–საქმიანი ზონის (სსზ) მაგივრად უნდა მიუთითოთ შერეული ზონა (შზ).

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შესათანხმებლად გათვალისწინებული ვადა განისაზღვრება 30 სამუშაო დღით. თანდართული დოკუმენტაციის განხილვაზე სამსახურმა გამოიყენა 9 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განცხადების ჩაბარებიდან 30 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის აღმოსაფხვრელად. სამსახურს დარჩენილი აქვს 21 სამუშაო დღე; თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება აღმოფხვრილი მითითებული ხარვეზი, განცხადება დარჩეს განუხილველი.

ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

შენიშვნა: მოთხოვნილი დოკუმენტაცია აიტვირთოს განაცხადის დახარვეზებულ ველებში და განაცხადის დამატებითი დოკუმენტაციის ველში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.